პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 57 (3541) 23 1968 წ. მარტი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდერთა ყაიმები

ბელგრადი, 22 მარტი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საერთაშორისო ტურნირის IX ტურში ყველა შეხვედრა დაძაბული იყო, თუმცა უმეტესობამ ბრძოლა ყაიმით დაამთავრა.

ნ. გაფრინდაშვილმა შავებით მალე გაათანაბრა მდგომარეობა ლ. იოფიჩ-ივკოვიჩთან (იუგოსლავია). მხოფლიო ჩემპიონის პოზიცია თანდათან გაუმჯობესდა და მალე მან პაიციც მოიგო. იუგოსლავიელმა იხლა მოახერხა, რომ ნონას ზედმეტი პაიი გაუორა. შემდეგ გაფრინდაშვილმა პაიი დაკარგა და პოზიციაც გათანაბრდა. ყაიმი.

ა. კუშნირი დასაწყისშივე უხეშად შეცდა ტურნირის ყველაზე უმცროს მონაწილესთან რ. იოვანოვიჩთან და მე-11 სვლაზე უხარისხოდ დარჩა. ალახ დიდი შეუპოვრობა და ოსტატობა დასჭირდა, რომ შანსები გაეთანაბრებინა. პარტია გადაიდო. მეორე დღეს კუშნირმა მაინც მიაღწია ყაიმს.

ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) მოუგო ქ. გოლუი-რაძიკოვსკას (პოლონეთი).

იუგოსლავიის ჩემპიონი მ. ლილიაკი აქამდე ხან იგებდა, ხან აგებდა. ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვასთან იგი მოგებაზე თამაშობდა, მაგრამ ყაიმის მეტს ვერას მიაღწია. ეს ლილიაკის პირველი ნახევარი ქულაა.

ზავით დასრულდა მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩ — ტ. შტადლერის (ორივე — იუგოსლავია) და ე. ბილეკ (უნგრეთი) — ვ. ასენოვას (ბულგარეთი) შეხვედრებიც. საინტერესო იყო პირველთა თამაში. შტადლერმა თავიდანვე მოსაგები პოზიცია აიგო, მაგრამ ისე ცუდად ითამაშა, რომ მოგების შანსი ლაზარევიჩს მიეცა. მაგრამ მალე ისიც შეცდა. მეტოქენი მხოლოდ გადადებული პარტიების დამთავრებისას შეთანხმდნენ ყაიმზე.

წინა ტურებში გადადებული პარტიების განახლების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა ე. ბილეკმა. მან მოუგო ფ. ჰეემსკერკს (ჰოლანდია), რომელმაც, სხვათა შორის, ყველა შეხვედრა წააგო. ყაიმით დასრულდა რ. იოვანოვიჩ-ბილეკის შეხვედრა. ჰ. კონარკოვსკამ დაამარცხა ტ. შტადლერი.

9 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 7 ქულა აქვს, მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩსა და ა. ნიკოლაუს — 6,5-6,5, ა. კუშნირს — 6, მ. ლილიაკს — 5,5, რ. და კ. იოვანოვიჩებსა და ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვას — 5-5.



ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორების ქარხანაში მწყობრში ჩადგა ახალი სპორტის სასახლე. 15 სპორტულ სექციაში 3 ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. ქარხნის სპორტსმენთა განკარგულებაშია ოთხი დარბაზი: სპორტთამაშების, ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და ძალოსნობის. წლეულს ჰიგეგა საცურაო აუზი და ხელოვნური საციგურაო.

სურათზე: ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ქალების მეცადინეობა.

ფოტო ე. ეტინგერისა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

ზედიზედ სამი გამარჯვება

კაუნასში გაიმართა სსრ კავშირის ხელბურთელთა ჩემპიონატის III-IV, ხოლო ივანო-ფრანკოვსკში IV ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ ქალაქებიდან ტელეფონით მიღებულ ცნობებს.

კაუნასი, 22 მარტი. გუშინწინ თბილისის ბურევესტნიკელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ტაშკენტელი თანაკლუბელები — 16:14. ეს იყო თითქმის წაგებული მატჩის მოგება. პირველი ტაიმი თბილისელებმა 4 ბურთის სხვაობით წააგეს (7:11) და მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ“ დაამარცხა კაუნასის „ყალგირისი“ — 25:18 (12:7), ხოლო რიგის „დაუგავამ“ — მინსკის „პოლიტექნიკი“ 25:16 (12:10).

გუშინ თბილისელებმა კიდევ ერთი შეხვედრა მოიგეს, ამჯერად ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ — 21:16 (10:11). ამგვარად, ჩვენმა ხელბურთელებმა I ტურში მარცხის შემდეგ ზედიზედ 3 გამარჯვება მოიპოვეს და ახლა გათამაშების ცხრილში 6 ქულა აქვთ. რიგის „დაუგავამ“ მოუგო ტაშკენტის „ბურევესტნიკს“ — 19:12 (8:5), „ყალგირისმა“ — მინსკის „პოლიტექნიკს“ — 23:16 (9:7).

ქალთა გუნდების შეხვედრები ასე დამთავრდა: **III ტური.** „ყალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „ყალგირისი“ (კაუნასი) 12:8 (6:3), „ლოკომოტივი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ბაქო) 10:9 (6:4), „შვიესა“ (ვილნიუსი) — ბინათმშენებლობის კომბინატი № 3 (კიევი) 18:16 (9:8); **IV ტური.** ბინათმშენებლობის კომბინატი № 3 — „ყალგირისი“ 10:23 (6:12), „სპარტაკი“ — „შვიესა“ 8:10 (3:6), „კალინინეცი“ — „ლოკომოტივი“ 21:7 (12:2).

ივანო-ფრანკოვსკი, 22 მარტი. კიეველი არმიელებისა და კრასნოდარელი სტუდენტების შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. საბოლოოდ კიეველებმა მატჩი ერთი ბურთის სხვაობით მოიგეს — 15:14 (8:6). შედარებით იოლად გაიმარჯვეს მოსკოვის „კუნცევომ“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. პირველმა მოუგო ბაქოს ასკ-ს — 22:13 (11:9), მეორემ ლვოვის ასკ-ს — 26:20 (16:6).

ქალთა გუნდების შეხვედრების შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (კიევი) — „ტექსტილშჩიკი“ (ტაშკენტი) 18:9 (9:7), „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი“ (ჩერკასი) 15:9 (9:5), „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 13:15 (6:12).

22 მარტისთვის გათამაშების ცხრილებში ასეთი მდგომარეობა იყო:

გათამაშების ცხრილები

ვაჟები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი	4	4	0	0	92—67	8
„კუნცევო“ (მოსკოვი)	4	3	0	1	71—59	6
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	4	3	0	1	71—66	6
ასკ (კიევი)	4	3	0	1	60—67	6
„დაუგავა“ (რიგა)	4	2	0	2	84—74	4
„ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი)	4	2	0	2	80—78	4
„ყალგირისი“ (კაუნასი)	4	2	0	2	84—83	4
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	4	2	0	2	77—79	4
„ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი)	4	1	0	3	59—60	2
ასკ (ლვოვი)	4	1	0	3	69—78	2
„პოლიტექნიკი“ (მინსკი)	4	1	0	3	78—94	2
ასკ (ბაქო)	4	0	0	4	52—72	0

ქალები

„ლუჩი“ (მოსკოვი)	4	4	0	0	72—41	8
„სპარტაკი“ (კიევი)	4	4	0	0	68—37	8
„კალინინეცი“ (სვერდლოვსკი)	4	3	1	0	56—32	7
„ყალგირისი“ (კაუნასი)	4	3	0	1	77—43	6
„ბურევესტნიკი“ (კიევი)	4	2	0	2	41—48	4
„შვიესა“ (ვილნიუსი)	4	2	0	2	48—62	4
„ლოკომოტივი“ (ოდესა)	4	2	0	2	37—60	4
„სპარტაკი“ (ბაქო)	4	1	1	2	35—36	3
„ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა)	4	1	0	3	48—62	2
„ტექსტილშჩიკი“ (ტაშკენტი)	4	1	0	3	41—66	2
„ბურევესტნიკი“ (ჩერკასი)	4	0	0	4	35—51	0
ბინათმშენებლობის კომბინატი № 3	4	0	0	4	41—59	0

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია ის გუნდები, რომლებიც კაუნასში თამაშობენ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

5 მატჩი

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები.

მოსკოვი. გათამაშების ლიდერი ლენინგრადის „სპარტაკი“ დედაქალაქს ესტუმრა და ორი მატჩი გამართა ადგილობრივ არმიელებთან. ორივე შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 84:72 (46:35) და 79:58 (32:31).

კიევის „სტროიტელის“ მეტოქე იყო თბილისის „ბურევესტნიკი“. თამაში დამთავრდა კიეველ კალათბურთელთა გამარჯვებით — 70:65 (36:27).

ტარტუს „კალევმა“ ვერ შეძლო გამკლავებოდა სვერდლოვსკის „ურალმაშს“ და დამარცხებულმა დატოვა მოედანი — 66:77 (34:43).

რიგის ვეფისა და კაუნასის „ყალგირისის“ გუნდებს შორის მატჩი მოიგეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 80:69.

24 მარტს, „დინამოს“ სტადიონზე

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში III ადგილი დაიბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

და აი, ლენინგრადის „ზენიტთან“ ამხანაგური საკონტროლო მატჩის წინ, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება 24 მარტს, მათ გადაეცემათ ეს ჯილდოები.



თბილისში დასასრულს უახლოვდება „შრომითი რეზერვების“ სისტემის პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა ზონალური სპარტაკიადა. აკრობატთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა 31-ე პროფტექსასწავლებლის კვარტეტი, რომელმაც პირველობა მოიგო.

* * *

სურათზე: 31-ე პროფტექსასწავლებლის აკრობატთა ოთხეული ასპარეზობისას.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

(სპარტაკიადის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრების თაობაზე

გუშინ თბილისში, კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში ჩატარდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა აქტივის კრება, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენებით — 1967 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები — გამოვიდა საქართველოს სსრ სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვ. ბალავაძე.**

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ **ჯ. გუბაზმა**, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ **ი. ბაცელაშვილმა**, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ზ. ბერიაშვილმა**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ **ლ. ქავთარაძემ**, საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. აბაიშვილმა**, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. გამრეკელმა** და საქართველოს დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ხ. აბულაძემ.**

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

XXI რესპუბლიკური

თბილისში, „შრომითი რეზერვების“ მოედნებსა და დარბაზებში რამდენიმე დღეა გრძელდება პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XXI რესპუბლიკური (თბილისის ზონა) სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავს ეძღვნება. სპარტაკიადის პროგრამაში 13 სახეობა შედის. ხუთ სახეობაში უკვე დამთავრდა შეჯიბრებები, რომელთა შედეგებსაც ქვემოთ გაგაცნობთ.



ცურვა

იმის გამო, რომ განაცხადი დროულად არ წარმოადგინეს, 32-ე სასწავლებლის სპორტსმენები საასპარეზოდ უკონკურსოდ დაუშვეს, გუნდური პირველობისთვის კი მე-5, მე-6, მე-11 და 31-ე სასწავლებლების გუნდები იბრძოდნენ. საინტერესო იყო 100 მეტრზე გულაღმა ცურვა. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს ჯ. ჩაბაკაურს გამარჯვებისთვის ყველაზე აქტიურად თანაგუნდელი მ. ზვერევი (ორივე — 31-ე სასწავლებელი) ებრძოდა, მაგრამ პირველობა მაინც ჩაბაკაურმა მოიპოვა — 1.10,2. მანვე მოიგო 200 მეტრზე ცურვაც. 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში პირველობა მოიპოვა თ. წყაროელმა (31-ე სასწავლებელი). 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშთან ყველაზე ადრე მისი თანაგუნდელი ვ. ონუფრიენკო მივიდა. წანვე გაიმარჯვა 100 მეტრზე ბატერფლაით (1.10,5) ცურვაში. 200 და 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა ძმების მ. და ზ. ზვერევების უპირატესობით დამთავრდა. კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე მე-11 სასწავლებლის კვარტეტმა იმარჯვა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას 31-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა აჯობეს. II ადგილზე გავიდა მე-11 სასწავლებლის გუნდი. სულ მოცურავეებმა 8 პირველი თანრიგის შედეგი აჩვენეს.

თანამედროვე სამჭიდი

ასპარეზობაში 6 გუნდი მონაწილეობდა და თვითეულს 3-3 სპორტსმენი გამოჰყავდა. პირველობა 31-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა მოიგეს. მე-11 სასწავლებელი აქაც II ადგილს დასჯერდა.

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ა. რაბინინმა, რომელმაც ტყვიის სროლაში 976 ქულა მოაგროვა, ცურვაში — 978, მძღოლობაში — 962. მომდევნო ადგილები მოიპოვეს ს. უშაკოვმა და პ. ლისაკოვსკიმ (ყველა — 32-ე სასწავლებელი).

საგზაგატეხილო ველოსიპედი

პროგრამაში იყო 15 და 25 კილომეტრზე რბოლა. პირველი დისტანცია ე. ნასიბოვამ მოიგო — 22.54,0. მეორე დისტანციაზე რ. ხიზანიშვილმა გაიმარჯვა (ორივე — 32-ე სასწავლებელი) — 38.08,2. ამ უკანასკნელმა შეასრულა პირველი თანრიგი, გუნდურ ჩათვლაშიც 32-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა ისახელეს თავი. მე-5 სასწავლებელმა II ადგილი დაიკავა. ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში ხუთმა სპორტსმენმა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

კლასიკური ჰიდაობა

ამ სახეობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: დ. მორგოშიამ (მე-11 სასწავლებელი), ნ. მჭედლიძემ (31-ე), ა. ელიზარაშვილმა (მე-11), ი. მიგრიჯანაშვილმა (მე-5), ა. ლიპარტაშვილმა (მე-18), თ. ბუქურმა (მე-6), ტ. ხაჩიძემ (31-ე), ვ. ლაფაურმა (მე-18), დ. ტერეხოვმა და გ. ლოქაბიძემ (ორივე — მე-11 სასწავლებელი). გუნდური პირველობა წილად ხვდათ მე-11 სასწავლებლის სპორტსმენებს.

აკრობატიკა

ტურნირში, რომელშიც 6 გუნდის 42 სპორტსმენი მონაწილეობდა, აშკარა იყო 31-ე სასწავლებლის წარმომადგენელთა უპირატესობა. მათ 425,95 ქულა მოაგროვეს, II ადგილზე გასულმა მე-11 სასწავლებლის კოლექტივმა კი 225,90. III პრიზიორმა — მე-18 სასწავლებლის გუნდმა 225,30 ქულა მიიღო. ოსტატთა პროგრამით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ა. თედეევმა და ს. დელიბალტომ, პირველი თანრიგის პროგრამით ჯგუფურ ვარჯიშში — ტ. მღებრიშვილმა, ჯ. გოჩიტაშვილმა, დ. ბუზაიშვილმა, გ. ზაალიშვილმა; ხტომებში — ნ. ზუკაევმა (ყველა — 31-ე სასწავლებელი).

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვებული თ. წყაროველი დისტანციაზე.

ფოტო ავტორისა.

ფეხვედრა ჩემპიონთან

ახლახან ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის დარბაზში ქალაქის სპორტულმა აქტივმა მოსწავლეებთან ერთად შეხვედრა მოუწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონს მაგიდის ჩოგბურთში, საერთაშორისო კლასის ოსტატს ს. სარხოიანს.

შეხვედრა გახსნა ქალაქის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ე. თხილაიშვილმა. მან დამსწრეთ გააცნო ჩემპიონის სპორტული ბიოგრაფია, ილაპარაკა მის დიდ მიღწევებზე საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სახელოვან სტუმარს მიესალმნენ რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, საქართველოს ათგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, სპორტის ოსტატი ხ. პარფინიდი, ნორჩი ჩოგბურთელი გ. ღვენა, მე-10 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. გვენეტაძე, „სპარტაკის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ს. ლოგინოვი და სხვები.

შ. მამინაშვილმა აჭარის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის დავალებით ს. სარხოიანსა და მის მწვრთნელს — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კ. გუგუშვილს გადასცა ფასიანი საჩუქრები. დასასრულ ს. სარხოიანმა დამსწრეთ გაუზიარა საკავშირო ჩემპიონატში მიღებული შთაბეჭდილებები და მადლობა გადაუხადა მათ გულთბილი შეხვედრისთვის.

ო. ჭურგანიძე.



აზერბაიჯანელი ნიჩბოსნები ინტენსიურად იყენებენ გაზაფხულის თბილ დღეებს. კახეთის ზღვაზე ხშირად ვარჯიშობენ ბაქოს „ნეფტჩის“, „დინამოს“, „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები — ემზადებიან წლევანდელი სტარტებისთვის.

სურათზე: სპორტსმენები ერთ-ერთი ვარჯიშის დროს.

როგორ გავაგრძელოთ ფიზკულტურის გაკვეთილი

ამ დღეებში გაიმართა საკავშირო თათბირი, რომელიც მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა. მოსკოვის პიონერთა სახლში, სადაც ეს თათბირი ტარდებოდა, ხამი დღის მანძილზე ერთმანეთს ხვდებოდნენ პედაგოგები, სპორტულ საზოგადოებათა მუშაკები, ექიმები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ვაჭრობის, მსუბუქი მრეწველობის წარმომადგენლები.

გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტი ჟ. ვოდოლაჟსკი თათბირზე დასმულ ზოგიერთ საკითხზე ესაუბრა სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილეს მ. კონდაკოვს.

პირველ შეკითხვაზე, თუ რასთან დაკავშირებით იქნა მოწვეული საკავშირო თათბირი, მ. კონდაკოვმა კორესპონდენტს მწერალ ა. დორონოვს წერილის წაკითხვა შესთავაზა.

წერილი სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სახელზეა გაგზავნილი.

„გიგზავნით სურათს, რომელიც ამ დღეებში ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდა. მინდა, რომ ყურადღებით დაუკვირდეთ მას. დაფიქრდეთ, როგორ წერენ ახალგაზრდები პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე. ფოტოზეც კი ნათლად ჩანს, რომ სკოლაში ისინი მერხზე ჯდომას კი არა, წოლას მიჩვეულან. დაეკვირდით, ზოგს აშკარად გამოხატული ახლომხედველობა აქვს, ზოგს ხერხემლის გამრუდება, რადგან ზურგის კუნთები სავსებით განუვითარებელია. და ეს ხდება 17-19 წლის ასაკში“.

— ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. წერილის ავტორს გაზეთიდებებით გატაცებას ვერ დაგწამებთ. ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზკულტურის გაკვეთილს. რა გზით ვიაროთ შემდეგ, როგორ ვაქციოთ ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველი ხაბჭოთა მოსწავლის მუდმივ თანამგზავრად — აი, ამ საკითხებზე მსჯელობდა ჩვენი თათბირი.

წელიწადნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. რა ღონისძიებანი განახორციელა სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებისათვის?

— პირველ ყოვლისა, დამუშავდა ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამა, რომელიც ძალიან განსხვავდება წინამორბედებისაგან.

აი, ერთ-ერთი სიახლე: პროგრამაში შეტანილია ცურვა. მოსწავლეები საშოთს წელიწადში ისწავლიან ცურვას.

დღეს ბევრი სკოლა გადადის ახალი პროგრამით მუშაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებთან კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაფართოებას. კლასგარეშე მეცადინეობის საინტერესო და მისაწვდომი ფორმაა საერთო ფიზიკური მომზადების სექციები. მათი რიცხვი ახლა საგრძნობლად გაიზარდა. დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ჩვენ სიამოვნებით ვუჭერთ მხარს შეჯიბრებებს „ოლიმპიური თოვლის ფიფქის“, „ოქროს შაიბის“, „ძალისა და ვრაციის“ პრიზზე. მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა სასკოლო სპორტული ბაზის განმტკიცება და გაფართოებაა. ამ თათბირზე რესპუბლიკების წარმომადგენლები ბავშვთა სპორტული ბაზების მშენებლობის გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. ბევრი დაინტერესა უკრაინელთა გამოცდილებამ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. ეს მართლაც იმსახურებს ყურადღებას. პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე საშეფო საწარმოების დახმარებით, საკუთარი ძალებით მშენებლობით, აგრეთვე, ფუღადი სახსრებისა და მასალების კოოპერირებით 1967 წელს უკრაინაში 576 სასკოლო სპორტული დარბაზი აიგო! ასეთივე დიდი მასშტაბით გაიშალა მშენებლობა რსფსრ-ში, სომხეთში, ყაზახეთში.

— ცნობილია, რომ ათწლიანი სკოლის პროგრამით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს 700 საათი ეთმობა. ბევრია ეს თუ ცოტა?

— პირველ ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ეს ციფრი მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე ციფრთან. ფიზკულტურისათვის განკუთვნილი დრო საკუთრივ საკმარისია. მაგრამ იქნება თუ არა ეს საათები მართლაც ჯანმრთელობის საათები, იქცევა თუ არა ფიზიკური კულტურის აღზრდის კარგ სკოლად, დამოკიდებულია ასი ათასობით მასწავლებელზე, რომელთაც ამ მუშაობის ჩატარება ევალებათ. ამასთან დაკავშირებით, დღეს ძალიან გვაფიქრებს აი, ეს ციფრები: ფიზკულტურის მასწავლებელთა 40 პროცენტს სპეციალური განათლება არა აქვს ახლა ჩვენს ქვეყანაში ამ პროფილის მასწავლებლებს ფიზკულტურის 16 ინსტიტუტი და 21 ტექნიკუმი, პედაგოგიური ინსტიტუტების 69 ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი და 33 პედასწავლებელი ამზადებს. ეს საკმარისი არ არის.

გამოანგარიშებულია, რომ ფიზკულტურის მასწავლებელთა მომზადების დღევანდელი ტემპით სპეციალური განათლების მქონე კადრების ნაკლებობის ლიკვიდაციისთვის 10-15 წელია საჭირო. ასეთი ტემპი ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენ უფრო სწრაფად გადავჭრით ამ ამოცანას. რსფსრ-ში, მაგალითად, ბოლო ორ წელიწადში გაიხსნა ფიზიკური აღზრდის ორი ახალი პედაგოგიური სასწავლებელი, ამ სპეციალობის განყოფილებები შეიქმნა 34 პედასასწავლებელში. ამას გარდა, რუსპუბლიკაში მუშაობს ფიზიკური კულტურის პედაგოგიური კლასები, რომლებშიც ერთი წლის მანძილზე მომზადდება სოფლის სკოლების 2 ათასი მასწავლებელი. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ ერთ-ორ წელიწადში შევასრულოთ მთავრობის დადგენილება ყველა რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებით დაკომპლექტების შესახებ. იმავე ღონისძიებას ატარებენ სხვა რესპუბლიკებშიც.

ავტორიტეტული, კარგი პედაგოგი მარტო მასწავლებელი როდია. იგი ახალგაზრდობის ორგანიზატორიცაა, სპორტის პროპაგანდისტია სკოლაში, სოფელში, რაიონში. ასეთ კაცზე, რა თქმა უნდა, ბავშვების ზნეობრივი აღზრდაცაა დამოკიდებული. ამიტომ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მასწავლებელთა დონის გამაუმჯობესო ამაღლებას, მათ გადამზადებას. 4-5 წლის განმავლობაში განზრახულია 20 ათასი ფიზკულტურის მასწავლებლისა და მწვრთნელის, აგრეთვე, დაწყებითი კლასების 120 ათასი მასწავლებლის გადამზადება.

* * *

თათბირმა მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა. ფიზკულტურა და სპორტი სკოლაში დიდი სპორტის საძირკველია. სკოლაზე, მასწავლებელზეა დამოკიდებული, ეყვარებათ თუ არა ბავშვებს ფიზიკური კულტურა. სწორედ აქ იწყება ჩემპიონთა გზა, აქ იწყება ჯანმრთელი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანების ჩამოყალიბებაც.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თათბირზე სერიოზულად გააკრიტიკეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაობა. ბევრი საყვედური შეხვდათ ამ სამინისტროს მუშაკებს: მართლაც სამედიცინო მეცნიერება გაუბედავად ერევა სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საქმეს პასიურად ეკიდება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოც. სპორტული ორგანიზაციები უფრო დიდ დახმარებას უნდა უწევდნენ სკოლას მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

ფიზკულტურის გაკვეთილი არ შეიძლება 45 წუთით შემოიფარგლოს. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.

„იზვესტია“, № 67 (15766)

რაკრკნელი ეკონომიკური

წითელწყაროს

გაიმართა მასწავლებელთა რაიონული გუნდური პირველობა ჭადრაკში. უძლიერესი იყო სკოლა-ინტერნატის კოლექტივი. პირად პირველობაში გაიმარჯვა ე. ბეგლაროვმა.

ა. ჯანეზაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ახმეტა

მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჰიდაობაში მოიგო ახმეტის პირველი საშუალო სკოლის გუნდმა. ასპარეზობაში სულ რვა საშუალო სკოლა მონაწილეობდა.

შ. ნათელაური.

თეთრი წყაროს

აქ გაიმართა მოსწავლეთა რაიონული პირადი პირველობა ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკე გოგონებში რაიონის ჩემპიონი გახდა თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე ქ. ბექაური, ჭაბუკებში — მანგლისის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ს. პოლავოვი. მაგიდის ჩოგბურთელ ჭაბუკებში პირველობა მოიპოვა თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. ხაჩატუროვმა, გოგონებში — მანგლისის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. პოლიხრონოვამ.

თ. ხუციშვილი,
თეთრი წყაროს ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

კომკავშირელთა ძალებით

ამას წინათ ფახულანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტმა (მდგანი ი. გერგედავა) ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი განიხილა და საჭირო ღონისძიებანი დასახა. შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა — გადახალისდა ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები, მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები, შეიძინეს 800 მანეთის სპორტული ინვენტარი. ახლა ფახულანელი ახალგაზრდები გულმოდგინედ ემზადებიან რაიონული შეჯიბრებებისთვის.

ო. სალია.

სოფ. ფახულანი,
წალენჯიხის რაიონი.

სპორტული ეჯაჭვიდან

3 აპრილს — აუგსბურგში

როგორც უკანასკნელი ცნობებით დაზუსტდა, მოსკოვის „ტორპედოსა“ და უელსის „კარდიფ-სიტის“ მესამე, დამატებითი მატჩი ევროპის ჭიქაყნების თასების მფლობელთა თასზე, გაიმართება არა მიუნჰენში, არამედ აუგსბურგში (გფრ).

მოგაგონებთ, რომ თუ მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა, მაშინ გამარჯვებულს გამოავლენს წილისყრა.

საწვრთნელი მატჩები

სოხუმი. აქ გაიმართა საწვრთნელი მატჩები ფეხბურთში. საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა სოხუმის დინამოელთა შეხვედრა აშხაბადის „სტროიტელთან“.

გამარჯვება წილად ხვდათ სოხუმელებს — 3:2.

აქვე ითამაშეს ლუგანსკის „ზარიამ“ და მოსკოვის არმიელებმა.

თამაში მოიგეს ლუგანსკელებმა ანგარიშით 1:0.

შ. ჯალაღონია.

ცსკა — „უპონ-პალო“

როგორც ვიუწყებოდით, ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ფინეთის საკლუბო გუნდი „უპონ პალო“.

ფინელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარეს ცსკა-სთან. ლუგანსკის „ზარიასთან“ გამარჯვების შემდეგ არმიელებმა „მშრალი“ ანგარიშით დამარცხეს სტუმრები — 3:0.

ახლა „უპონ პალო“ ითამაშებს ტყიბულში ადგილობრივ „მეშახტესთან“ და ბათუმში — „დინამოსთან“.

შეჯიბრება მიატოვეს

მახარაძეში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოშაშეთა გუნდური ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, ჩოხატაურის, კასპის, მცხეთის, ამბროლაურის, გორის, წითელწყაროს, ტყიბულის, სამტრედიისა და გეგეჭკორის ნაკრები გუნდები. საასპარეზოდ დაშვებული იყო გარდაბნის რაიონის ნაკრებიც. გარდაბნელები ტურნირში ჩაებნენ, მაგრამ ორი დღის შემდეგ შეჯიბრება რატომღაც მიატოვეს. ამ საკითხზე „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ალბათ ცალკე იმსჯელებს.

აფხაზეთმა კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა და დამსახურებულად მოიპოვა I რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონობა. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდელები, III — მახარაძელები.

პირველ დაფაზე ვაჟებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა აფხაზეთის წარმომადგენელს ნ. მოეჩანს. მეორე იყო მახარაძელი დ. თავაძე, მესამე — ამბროლაურელი ბ. ჯანელიძე, ქალთა შორის პირველ დაფაზე უძლიერესი იყო ლ. გიორგაძე (სამტრედია). II ადგილზე გავიდა ე. ველიაძე (აჭარა), III — ს. კაკულია (აფხაზეთი).

ს. კაციტაძე.

თავისუფლების კუნძულზე

საბჭოთა ლაინერი ტუ-114 ცამეტსაათიანი ფრენის შემდეგ ატლანტის ოკეანეში მდებარე ბაგამის კუნძულებს უახლოვდებოდა. უკან დარჩა მოსკოვი, პეტროზავოდსკი, მურმანსკი, ისლანდიის, გრენლანდიის, ნიუფაუნდლენდის და ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირები.

სხვა მგზავრებთან ერთად საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად ჰავანას მიემგზავრებოდა სსრ კავშირის ტყვიის მსროლელთა ოლიმპიური ნაკრები.

იმის გამო, რომ ფრენა ქარის საწინააღმდეგოდ გვიხდებოდა, ლაინერი განსაზღვრულ სიჩქარეს ვერ ავითარებდა და საწვავის მოსამარაგებლად კერსი ბაგამის კუნძულებზე მდებარე აეროდრომისაკენ აიღო. რამდენიმე საათი გავატარეთ ცენტრალური ამერიკის ამ ულამაზეს ადგილზე, რომელიც დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის. მსპინძლები დიდი სტუმართმოყვარეობით ვერ დაიტრაბახებენ, — აეროდრომის ტერიტორიას არ გაგვაციელეს.

ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე ისევ ჰაერში ავედით და თავისუფლების კუნძულისკენ ავიღეთ გეზი. გამოჩნდა ფლორიდის თვალწარმტაცი ნაპირები ქალაქ მაიამით. იგი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე სამხრეთი ნაწილია და კუბიდან დაახლოებით 140 კილომეტრითაა დაშორებული.

დიდხანს ჩანდა მაიამის ცათამბჯენები. შემდეგ პატარ-პატარა კუნძულებში თანდათან გამოიკვეთა უზარმაზარი ნაპირი — კუნძული კუბა და თვითმფრინავი დაეშვა ხუნე მარტის აეროდრომზე, სადაც გულითადი შეხვედრა მოგვიწყვეს ჩვენმა კუბელმა მეგობრებმა და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებმა.

ტემპერატურა 30 გრადუსია, მოსკოვიდან კი სუსხიანმა ზამთარმა გაგვაცილა. პალტოები როგორც დროებით გამოუსადეგარი ნივთი, მკლავებზე გადავიკიდეთ.

ოკეანის სანაპიროზე, სასტუმრო „ნაციონალში“ დაგვაბინავეს. ხანგრძლივმა ფრენამ, ჰავის ცვლილებამ და განსაკუთრებით დროის განსხვავებამ, რომელიც 8 საათს უდრის, ძალიან დაგვღალა და ახლა დასვენება ვამჯობინეთ. საღამოს საორტული ბაზა და ჰავანა დავათვალიერეთ.

ქალაქში მილიონნახევარი მცხოვრებია. ლამაზი სანაპაია საღამოს ჰავანის ჭურჭები, რომლებსაც ფერად-ფერადი რეკლამები და ტროპიკული მცენარეები განუმეორებელ სილამაზეს ჰმატებენ. სასტუმროების უმეტესობა ოკეანის ნაპირზეა განლაგებული. რევოლუციამდე არც ერთ კუბელს არ ჰქონდა ამ სასტუმროებში შესვლის უფლება, იქ ამერიკელი მილიონერები ცხოვრობდნენ და ისვენებდნენ.

დავათვალიერეთ მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმი, სადაც თვალსაჩინო ადგილი ეთმობა საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილ ექსპონატებს.

...დაიწყო საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის, კუბის, რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობით. სამწუხაროდ, ჩემი ვარჯიში — ნებისმიერი მსხვილკალიბრიანი სპორტული შაშხანით 300 მეტრზე სროლა პროგრამაში შეტანილი არ იყო და იძულებული გავხდი სხვა ვარჯიშში გამოვსულიყავი (III ადგილი დავიკავე). საბჭოთა სპორტსმენებმა მეორედ მოვიპოვეთ კუბის სროლის ფედერაციის გარდამავალი თასი. ჩვენი ნაკრების წევრმა, უფროსმა რ. სულეიმანოვმა მსხვილკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე სროლაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა (594 ქულა 600 შესაძლებლიდან).

კუბელებს განსაკუთრებით უყვართ მუსიკა და ცეკვა. ისინი ხშირი სტუმრები არიან სპექტაკლების, წარმოდგენების, საესტრადო პროგრამებისა და ღამის რესტორნებისა. ღამის რესტორანი კუბაში, ჩემის აზრით, ვერ ამართლებს სახელს, ვინაიდან თითქმის მთელი დრო სიმღერას, ცეკვას და გრანდიოზულ საკონცერტო პროგრამას ეთმობა.

კუბაში ბევრი საბჭოთა სპეციალისტი მუშაობს, მათ შორის ჩვენი თანამემამულეებიც არიან. მათ ცოტა ესპანური იციან, ჰავანას კარგად იცნობენ და გულდაგულ დამათვალიერებინეს ქალაქი. არ დამავიწყდება ვახშამი, რომელიც საბჭოთა საელჩოს თანამშრომელმა ა. ვაჩნაძემ მოგვიწყო. მასპინძელმა და მისმა მეუღლემ მანანამ მოიწვიეს ჰავანაში მყოფი ქართველები და საელჩოს თანამშრომლები, გავეცანით მანანას კულინარიას, მის შემზადებულ საცივს, ჩახოხბილსა და ხინკალს. მაგიდას ამშვენებდა ცნობილი „ბერეში“, „ენისელი“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „ტვიში“... რამდენიმე დღით ადრე მათ ოჯახში ეტრადის მომღერალი გიული ჩოხელი ყოფილა სტუმრად, რომლის კონცერტებმაც კუბაში დიდი აღმავლობით ჩაიარა... ამ სტუმრობით განსაკუთრებით მასპინძლების პატარა გოგონა მართა იყო გახარებული.

ამ ბოლო ხანს ბევრი რამ წამიკითხავს ბასკეთისა და ქართველების ჯერ კიდევ დაუდგენელ ნათესაობაზე. ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ქალაქის ქუჩაში რეკლამაზე ამოვიკითხე სიტყვა „იბერია“ — ესპანეთის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სახელწოდება. აეროდრომის ბასკურ რესტორანში მრავლად იყო მწვანილი, საწებლები, ცხარე საჭმელები, ჩვენებურად შემზადებული ხორცის კერძები. სიამოვნებით ვუსმენდი ბასკურ სიმღერებს, რომელთა მელოდია საოცრად წააგავს ქართულს. სხვათა შორის, ესტრადაზე გამოვიდა მომღერალი ბასკი ქალი, რომელსაც სახელად ლამარა ერქვა.

ჰავანას ნათლად ეტყობა, რომ რევოლუციის შემდეგ ქალაქმა მთლიანად იცვალა იერი. შენდება ახალი ფაბრიკები, ქარხნები, კულტურის ცენტრები.

კუბელებს ძალიან უყვართ სპორტი, თითქმის ყოველ ეზაზე შეხვდებით ბადრაკის სათამაშოდ მოწყობილ სპეციალურ ოთახებს, ერთ-ერთ ოთახში კედელზე გამოჩენილ მოჭადრაკეთა სურათები იყო გაკრული. გამეხარდა, როცა მათ შორის ჩვენი ნონას მომღიმარი სახეც დავინახე. იქ მყოფ კუბელ ბადრაკის მოყვარულებს ვკითხე, ვინ არის-მეთქი ეს ქალიშვილი, და მათაც დაუზარებლად ჩამიტარეს ერთსაათიანი ლექცია.

დავათვალიერეთ ე. ჰემინგუეის სახლ-მუზეუმი, რომელიც ქალაქის გარეუბანშია. მწერალს საცხოვრებლად მუშათა უბანი აურჩევია. მისი ნივთები, კედლებზე გაკრული სურათები, სახლი, ეზო, ყველაფერი, რაც ჰემინგუეის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, ამ ადამიანის დიდ ჰუმანურობას, უბრალოებას, ხალხის, სიცოცხლისა და ბუნების დიდ სიყვარულს მეტყველებს.

ვარადერო — მსოფლიოს საუკეთესო კურორტი ჰავანის აღმოსავლეთით, დაახლოებით 70 კმ სიგრძის ნახევარკუნძულზეა გაშენებული. ნახევარკუნძულის ყველაზე განიერი ადგილი 400 მეტრია და ყველაზე ვიწრო — 200 მეტრი. ამ კურორტის დასათვალიერებლად ავტობუსით გავემგზავრეთ. ოკეანის ლურჯ ტალღებს ოქროსფერი სილა და უზარმაზარი პალმები ემეჯნება. პლაჟის გასწვრივ თითქმის ყოველ 50 მეტრზე თანამედროვე სტილით ნაგები ვილები, კოტეჯები და სასტუმროები დგას. რევოლუციამდე ეს ყველაფერი სხვადასხვა ქვეყნის მილიონერთა საკუთრება იყო, დღეს კი ხალხს ეკუთვნის. ნახევარკუნძულის ბოლო 30-40 კილომეტრი რევოლუციამდე ამერიკელ მანუფაქტურის მეფეს, მილიარდერ დიუპონს ეჭირა. მისი მდიდრული სასახლე აგარაკის ჩრდილო ნაწილში, ოკეანის პირასაა აღმართული. სხვათა შორის, ამ სასახლეში დგას დასავლეთ ნახევარსფეროს უდიდესი ორღანი. სასახლის ჩრდილოეთით დიუპონს იახტის მისადგომი აკრავს, ხოლო სამხრეთით — აეროდრომი.

ვარადეროში გამგზავრების წინ კუბელმა მეგობრებმა აკვალანგებითა და ნიღბებით მოგვამზადეს. შემთხვევითი როდია, რომ მსოფლიო პირველობა წყალქვეშა ნადირობაში ყოველთვის კუბაში ტარდება და კუბელი სპორტსმენები მსოფლიოში უძლიერესად არიან აღიარებული. სპორტის ამ ლამაზ სახეობაში ჩვენც ვცადეთ ბედი. წყალმცენარეებში სხვადასხვა ჯიშის წყალქვეშა ბინადარნი ირევიან. ადამიანის გამოჩენა მათ არ აფრთხობს, ჩვენ კი უნებურად მაგრად ვუჭერთ ხელს სასროლ იარაღსა და ბასრ დანას. განსაკუთრებით საშიშია თევზი ბარაკუდა, რომლის სიგრძეც მეტრნახევარს აღწევს. იგი წყალში დიდი სისწრაფით ესხმის თავს ადამიანს. მე ამ ნადირობიდან აუარებელი ლამაზი წყალმცენარით, ექვსი ზღარბთევზით, სამი ულუაშებიანი ლოკოკინითა და 4 გიგანტური ლოკოკინით ხელდამშვენებული დავბრუნდი.

2 მარტს მოეწყო შეჯიბრების დახურვის ცერემონიალი, გამარჯვებულებს გადმოგვცეს გარდამავალი თასი, დიპლომები და მედლები.

4 მარტს დილას ჩვენმა საჰაერო გიგანტმა ჰავანის აეროდრომზე აიღო სტარტი და ჩრდილოეთისკენ — მოსკოვისკენ გამოეშურა.

შ. ქაველიაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჰავანა — თბილისი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ჰავანა შუადღისას. მარჯვნივ — ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ავტორისა.



ᲙᲐᲠᲚᲘ ᲙᲐᲯᲔᲙᲘ

● **კრუნა, 21 მარტი.** შვეიცის ამ ქალაქში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით სწრაფრბენაში. შესანიშნავი შედეგები მოიტანა 1500 მეტრზე რბენამ. ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა ი. ჰიოგლინმა შვეიცის ოფიციალური რეკორდი დაამყარა 2.05,7, მაგრამ იგი მხოლოდ III იყო. დისტანცია უფრო სწრაფად დაფარეს ნორვეგიელებმა — ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელმა ი. ერიკსენმა (2.04,6) და სსრ კავშირ — ნორვეგიის ამასწინანდელ მატჩში გამარჯვებულმა ბ. ტვეტერმა (2.04,8). ნორვეგიელთა შედეგები მესამე და მეოთხეა დაბლობი საციგურაოებისთვის სპორტის ამ სახეობის ისტორიაში. ამ დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა VI შედეგი აჩვენა — 2.08,4. შვეიცის ჩემპიონმა ჰიოგლინმა ეროვნული რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე რბენაშიც — 4.26,7. აქ გაიმარჯვა ნორვეგიელმა ს.-ე. სტიანსენმა — 4.26,6. მასპინძლებმა მხოლოდ ერთ 5000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვეს. პირველი იყო გრენობლის „ბრინჯაოს“ მფლობელი ე. სანდლერი — 7.37.0.

● **ვენე

FOTBAL • CALCIO • KOPANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABDARUGAS • NOGOMET

ევროპაში დაბრუნება

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაასრულა ტურნე მექსიკაში, სადაც 4 მატჩი ფრედ დაამთავრა ადგილობრივ გუნდებთან (0:0, 1:1, 0:0, 1:1).

ჩვენი ფეხბურთელები დაბრუნდნენ ევროპაში და საფრანგეთის ქალაქ რენში ითამაშეს ადგილობრივ „სტად რენესთან“. საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. გოლები გაიტანეს ანიჩკინმა, სმოლნიკოვმა და ხაზომ.

ბერლინი, „ფუსბალ-ვოხე“

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ „ფუსბალ-ვოხეს“ რედაქციამ შემდეგი კითხვებით მიმართა ევროპის ჟურნალ-გაზეთებს.

1. ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი ფეხბურთში?
2. ვინ მოიპოვებს ჩემპიონთა თასს?
3. ვინ მოიპოვებს თასების მფლობელთა თასს?

აი, პასუხებიც:

„ფუტბოლი“ (მოსკოვი)

1. სსრ კავშირი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი). 3. „ბავარია“ (გფრ).

„კურირ-შპორტი“ (ვენა)

1. უნგრეთი. 2. „რეალი“ (ესპანეთი). 3. „მილანი“ (იტალია).

„ეკიპი“ (პარიზი)

1. იტალია. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„შპორტი“ (ციურიხი)

1. ინგლისი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„სკოტიშ სანდი ექსპრესი“ (გლაზგო)

1. უნგრეთი. 2. „რეალი“. 3. „ბავარია“.

„პშეგლონდ სპორტოვი“ (ვარშავა)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „ბავარია“.

„ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ (პრაღა)

1. სსრ კავშირი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „ბავარია“.

„ფუტბალ ინტერნაციონალი“ (როტერდამი)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„ნეპშპორტი“ (ბუდაპეშტი)

1. ფავორიტს ვერ ვხედავთ. ჩვენი აზრით, ინგლისელებსა და საბჭოთა ფეხბურთელებს სხვებზე უკეთესი შესაძლებლობები აქვთ. 2. „რეალი“ ან „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„გუმჰურიეთი“ (ანკარა)

1. უნგრეთი. 2. „რეალი“. 3. „ბავარია“.

„იდროტსბლადეტი“ (სტოკჰოლმი)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. მოსკოვის „ტორპედო“.

„ნაროდენ სპორტი“ (სოფია)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „ბავარია“.

„სპორტულ პოპულარი“ (ბუქარესტი)

1. სსრ კავშირი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„ა ბოლა“ (ლისაბონი)

1. იტალია. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„ნოიეს დოიჩლანდი“ (ბერლინი)

1. იტალია. 2. „რეალი“. 3. „მილანი“.

ადნ-ს სააგენტო (გდრ)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

„შპორტეხო“ (ბერლინი)

1. უნგრეთი. 2. „მანჩესტერ იუნაიტედი“. 3. „მილანი“.

თვით „ფუსბალ-ვოხეს“ რედაქციამ ევროპის ჩემპიონობის კანდიდატად უნგრეთის ნაკრები ჩათვალა, ჩემპიონთა თასზე უპირატესობა „რეალს“ მიანიჭა, ხოლო თასების მფლობელთა თასზე — „მილანს“.

ახლა გადავხედოთ შედეგებს: პირველ კითხვაზე 10 ხმა მიიღო უნგრეთის ნაკრებმა, 3-3 — სსრ კავშირისა და იტალიის გუნდებმა. მხოლოდ ერთი ხმა ერგო მსოფლიო ჩემპიონს — ინგლისის ნაკრებს.

ჩემპიონთა თასის მოპოვების რეალურ პრეტენდენტებად მიმომხილველებს მხოლოდ 2 გუნდი მიაჩნიათ: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) და „რეალი“ (ესპანეთი), ინგლისელებმა მიიღეს 12 ხმა, ესპანელებმა — 5.

თასების მფლობელთა თასის მოპოვების კანდიდატად მიმომხილველები ასახელებენ სულ 3 გუნდს: „მილანს“ (იტალია) — 11 ხმა, თასის ახლანდელ მფლობელ „ბავარიას“ (გფრ) — 6 ხმა და მოსკოვის „ტორპედოს“, რომელსაც სტოკჰოლმის გაზეთმა „იდროტსბლადეტმა“ მისცა ხმა.

თასების მფლობელთა თასზე...

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში 20 მარტამდე ცნობილი იყო ნახევარფინალის მხოლოდ ერთი მონაწილე — ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი „ბავარია“ (გფრ), რომელმაც ესპანეთის „ვალენსიასთან“ 3 ქულა აიღო 2 მატჩში (1:1, 1:0).

მეოთხედფინალის დანარჩენ 3 წყვილს დაჭირდა დამატებითი მატჩები გათამაშების შემდგომი ეტაპის მონაწილეთა გამოსავლენად. 2 ასეთი მატჩი უკვე შედგა. იტალიის „მილანმა“ თავის მინდორზე დაამარცხა ბელგიის „სტანდარდი“ — 2:0, საინტერესოა, რომ ორივე გოლი გატანილ იქნა მატჩის პირველივე წუთებზე პრატისა და რივერას მიერ, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა — „ჰამბურგმა“ მოუგო საფრანგეთის „ოლიმპიკ-ლიონს“ — 2:0. ორივე ბურთის ავტორია ცენტრალური თავდამსხმელი უ. ზეელერი. მატჩი ჰამბურგში შედგა.

ამრიგად: „ბავარია“, „მილანი“, „ჰამბურგი“. დარჩა ერთი ადგილი მეოთხედფინალში, რომელსაც გამოავლენს მოსკოვის „ტორპედოსა“ და უელსის „კარდიფ-სიტის“ 3 აპრილის მატჩი.

ჩემპიონთა თასზე...

მადრიდის „რეალს“ პირველი მეოთხედფინალური მატჩი მოგებული ჰქონდა პრაღის „სპარტასთან“ — 3:0. ეს 3 გოლი საკმარისი გარანტია იყო საერთო უპირატესობის შენარჩუნებისთვის და, მართალია, განმეორებით შეხვედრაში მადრიდელებმა მარცხი იწვნიეს პრაღაში — 1:2, ისინი მაინც გავიდნენ ნახევარფინალში.

ამ თამაშებში ანგარიში გახსნა კვაშნიაკმა, ხოლო ვრანამ გაიტანა მეორე გოლი. საპასუხო ბურთის გატანა შეძლო „რეალის“ ვეტერანმა ჰენტომ.

მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარება შეიქმნა საჭირო. „აინტრახტსა“ (გფრ) და იტალიის „იუვენტუსს“ შორის (წინა ორი მატჩი — 3:2, 0:1). იტალიელებმა გაიმარჯვეს — 1:0. ეს ერთადერთი გოლი გაიტანა მაგნუსონმა (ეროვნებით იგი შვედია).

ნახევარფინალში გავიდნენ: „რეალი“, „ბენფიკა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“.

კენჭისყრა მოხდა

პრაღა, 21 მარტი. აქ მოხდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ნახევარფინალების კენჭისყრა.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და უელსის „კარდიფ-სიტის“ შორის გამარჯვებული შეხვდება „ჰამბურგს“. მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ „მილანი“ და „ბავარია“.

ჩემპიონთა თასზე მოწინააღმდეგეები ასე დაწყვილდნენ: „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „რეალი“, „ბენფიკა“ — „იუვენტუსი“.

ნახევარფინალური მატჩები უნდა შედგეს 6 მაისამდე.

5 დღეში 18 რეკორდი

მინსკში 5 დღეს გაგრძელდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. შეჯიბრების ბოლო დღეს კიდევ ორი ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა პერმელმა ლ. ზახაროვამ — 5.26,5. ეს შედეგი 1,9 წამით სჯობს ხარკოველ ლ. ხაზიევას მიერ შარშანწინ ნაჩვენებ მიღწევას. მეორე რეკორდის ავტორია 16 წლის ბრატისლაველი მოსწავლე ო. კოზიჩევა, რომელმაც 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩეხოსლოვაკიის რეკორდი გააუმჯობესა — 10.12,1.

ასპარეზობის მეხუთე დღეს 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში არ მონაწილეობდა ევროპის რეკორდსმენი ს. ბელიცგეიმანი, რომელმაც ხელი იტკინა. ამის მიუხედავად, ფინალი მეტად საინტერესო გამოდგა. თავიდან მოსკოველი ვ. ბურე ლიდერობდა, მაგრამ ფინიშამდე 200 მეტრზე მას ა. დუნაევმა გაასწრო და გაიმარჯვა (17.22,5). დუნაევმა მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური ცურვაც — 4.48,3. ვაჟთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ყველას „დინამოს“ გუნდმა აჯობა. ქალებში პირველი იყო ჰოლანდიის პირველი კვარტეტი.

ამ საინტერესო შეჯიბრების მანძილზე სულ 18 ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა და მათგან 7 მასპინძლებს ეკუთვნით. პირადი შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი 24 ოლიმპიური სახეობიდან სსრ კავშირის მოცურავეებმა 17 სახეობაში იმარჯვეს. სხვა სახეობებში სტუმრები პირველობდნენ. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიელმა ო. კოზიჩევამ მოიგო თავისუფალი სტილით 200, 400 და 800 მეტრზე ცურვა და თავისი ქვეყნის 2 რეკორდი დაამყარა. სწორედ კოზიჩევა აღიარეს ტურნირის ყველაზე პოპულარულ მოცურავედ. თავის კოლექტივს ორი გამარჯვება მოუტანა ბ. კოკმა (ჰოლანდია), ორჯერ გაიმარჯვა გდრ-ის სპორტსმენმა რ. მათესმაც.

მინსკის ტურნირს კარგი შეფასება მისცეს ასპარეზობაში მონაწილე თეთრმეტივე ქვეყნის გუნდების ხელმძღვანელებმა.



▲ **პონტივი.** საფრანგეთის კროსმენთა ტურნირში ყველას აჯობა ქვეყნის საუკეთესო სტაიერმა ჯ. ვადუმ, რომელიც პირველად გამოვიდა კროსის დისტანციაზე. მისი შედეგია 33.45,0.

▲ **ლუქსემბურგი.** აქ გაიმართა მსოფლიოს პირველობა ველოკროსში. გაიმარჯვეს ბელგიელმა ძმებმა ფლემინგებმა: ერიკმა — პროფესიონალებში, როჟემ — მოყვარულთა შორის.

ლოს-ანჟელოსში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბეისბოლი. სურათზე თქვენ ხედავთ 13.000 მანქანას, რომლებიც ქალაქის მახლობლად მდებარე საბეისბოლო სტადიონის ტერიტორიაზე „დაბინავებულან“. ამ დროს აქ გამართულ მატჩს 52.000 მაყურებელი ესწრებოდა. ყველა მანქანით მოვიდა, მანქანით წავიდა.

ა. რამსეის იმედი

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი ეძებს ახალ ნიჭიერ ფეხბურთელებს, რომლებმაც უნდა შეცვალონ ვეტერანები 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. „ზოგი მათგანი ევროპის ჩემპიონატშიც ითამაშებს“ — ამბობს რამსეი.

შოტლანდიელებთან მატჩში წარმატებით გამოვიდა ახალი თავდამსხმელი მ. სემერსბი, რომელიც მაღალტექნიკური გამთამაშებელია და ზოგი მიმომხილველის ცნობით „მალე მეტოქეობას გაუწევს რ. ჩარლტონს“. დიდ იმედს ამყარებს მწვრთნელი შედეგიან ცენტრალურ თავდამსხმელ მ. ჩეივერსზეც.

კიდევ ერთმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა მიიპყრო ა. რამსეის ყურადღება. ესაა 18 წლის ბ. კიდი, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარჯვენა გარემარბად გამოდის. ამ ჭაბუკმა, რომელსაც საუცხოო ტექნიკა და დიდი სისწრაფე აქვს, უკვე მოიპოვა პოპულარობა ინგლისში.

აფრიკელთა პროგრესი

მ. ცატელი, მარსელის „ოლიმპიკის“ მწვრთნელი, ესწრებოდა აფრიკის თასის უკანასკნელ გათამაშებას ადის-აბებაში. ევროპაში დაბრუნებისას მან განაცხადა, რომ აფრიკელ ფეხბურთელებს დიდი პროგრესი ემჩნევათ. რა თქმა უნდა, ისინი ბევრ რამეში ჯერ კიდევ მოიკოჭლებენ, მაგრამ აფრიკელთა კლასი, უდავოდ, ამაღლდა, რამაც მალე უნდა იჩინოს თავი უახლოეს საერთაშორისო შეჯიბრებებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღეისთვის აფრიკაში მრავალი ცნობილი ევროპელი სპეციალისტი მუშაობს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი იუწყება საქართველოს ტელევიზიის მთავარი რედაქტორის, ჟურნალისტ
შოთა ანანიას ძე სალუქვაძის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. **23-29 მარტი.** საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **24 მარტი.** საკონტროლო მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.